სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080191513540821

№ 699 04 / მარტი / 2021 წ.

ააიპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2021 წლის პირველ მარტს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ააიპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ SMP210000618 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ განახორციელა სხვადასხვა საქონლის შესყიდვა (15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი; 15600000 - დაფქული მარცვლეული პროდუქტები, სახამებელი და სახამებლის პროდუქტები; 15500000 - რძის პროდუქტები; 03200000 - ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული; 41100000 - ბუნებრივი წყალი), ღირებულებით 78239.26 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ააიპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრში“ შემავალი საბავშვო ბაღების აღსაზრდელების კვებით უზრუნველსაყოფად, საკვები პროდუქტების შესყიდვის მიზნით ცენტრის მიერ გამოცხადებული NAT200020192, NAT210001708, NAT200020194, NAT210002704, NAT210001707 და NAT210002706 ელექტრონული ტენდერები დასრულდა უშედეგოდ, ხოლო განმეორებით გამოცხადებული NAT210003729, NAT210003806, NAT210002306, NAT210003406, NAT210003879 და NAT210003405 ელექტრონული ტენდერების სატენდერო პროცედურები ჯერ არ დასრულებულა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული საქონლის შესყიდვის დაყოვნება შეაფერხებდა ბაღების ფუნქციონირებას, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა საზოგადოებრივ ინტერესებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაცია იძულებული გახდა გამარტივებული წესით, გადაუდებელი აუცილებლობით განეხორციელებინა შესყიდვები.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვები წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, ააიპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრში“ შემავალი საბავშვო ბაღების აღსაზრდელების კვებით უზრუნველსაყოფად, საკვები პროდუქტების შესყიდვის მიზნით ცენტრის მიერ გამოცხადებული NAT200020192, NAT210001708, NAT200020194, NAT210002704, NAT210001707 და NAT210002706 ელექტრონული ტენდერები დასრულდა უშედეგოდ, ხოლო განმეორებით გამოცხადებული NAT210003729, NAT210003806, NAT210002306, NAT210003406, NAT210003879 და NAT210003405 ელექტრონული ტენდერების სატენდერო პროცედურები ჯერ არ დასრულებულა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული საქონლის შესყიდვის დაყოვნება შეაფერხებდა ბაღების ფუნქციონირებას, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა საზოგადოებრივ ინტერესებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაცია იძულებული გახდა გამარტივებული წესით, გადაუდებელი აუცილებლობით განეხორციელებინა შესყიდვები.

ამავდროულად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მიუთითებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რათა მან დამატებით შეისწავლოს ტენდერების უშედეგოდ დასრულების მიზეზები და განახორციელოს სათანადო ღონისძიებები შემდგომში ასეთი ფაქტების თავიდან აცილების მიზნით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, დროულად და კვალიფიციურად დაგეგმოს სახელმწიფო შესყიდვები, მისი ყოველდღიური საქმიანობისათვის საჭირო საქონლის, სამუშაოსა და მომსახურებების შეძენის მიზნით, იმისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომართვაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-13 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი ააიპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ მიერ განხორციელებული შესყიდვები.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე